# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N199

ქ. თბილისი „27" „10" 2011წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო"*,

*მისი დირექტორის მოადგილის მაზეკა გელოვანის სახით*

*მდებარე ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.N144* (შემდგომში - „შემსყიდველი")

(„შემსყიდველის" დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ *შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი"*,

*მისი აღმასრულებელი დირექტორის ლაშა მიგინიშვილის სახით,*

*მდებარე ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.* (შემდგომში - „მიმწოდებელი"),

(„მიმწოდებლის" დასახელება და რეკვიზიტები)

შორის,

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის„ მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სააგენტომ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სააგენტოს საჭიროებისათვის აკუმულატორის (CPV კოდი 31430000) შესყიდვაზე.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 370 (სამას სამოცდაათი) ლარს.

3.2. აკუმულატორი (აკუმულატორი BANNER 70 A/H) -2 (ორი) ცალი, 1 ცალის ფასი შეადგენს 185 (ასოთხმოცდახუთი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

## 4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით „მიმწოდებლის" ოფისიდან, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი.

4.2. „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს".

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება, საქონლის მიწოდებისთანავე უნდა გაფორმდეს „მიღება-ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს სასაქონლო

ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების" აქტი, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

6.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4. „მიღება-ჩაბარების" აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

### 7. მხარეთა ვალდებულებები

**7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:**

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" საქონელი დადგენილ ვადაში;

7.1.2. საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს სავარანტიო ფურცლის გაცემა, 1 (ერთი) წლის ვადით.

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.5. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

**7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:**

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა 6.3. და 6.4. პუნქტების შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

### 8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი თქვას უხარისხო ან წუნდებული საქონლის მიღებასა და მის ანაზღაურებაზე.

### 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სოციალური მომსახურების სააგენტოს ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გიორგი ამრხიანი.

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.2.1 მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

## 14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
15.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
15.1.3.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

### 17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო,
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ.N144,
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

მამუკა გელოვანი
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი"
შპს „იბერია ტექ ავტომოტივი"
ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.
ს/ს „საქართველოს ბანკის" ც/ფ
კოდი NBAGAGE22; ს/კ N236093473
ანგარიშის NGE29BG0000000153512100

ლაშა მიქაბერიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

ვიზირებულია: ნ. ხომასურიძე

ა. ვასაძე

გ. ამზიანი